პროექტი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება №
---ნოემბერი 2024 წელი

ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ბესარიონ ქებურიას IV ქუჩისთვის, IV ჩიხისთვის და უსახელო ჩიხისთვის სამხედრო-საჰაერო ძალების მფრინავის ალბერტ ბალხამიშვილის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. სამგორის რაიონში, ბესარიონ ქებურიას IV ჩიხს და მასთან არსებულ უსახელო ჩიხს მიენიჭოს სამხედრო-საჰაერო ძალების მფრინავის ალბერტ ბალხამიშვილის ქუჩის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. სამგორის რაიონში, ბესარიონ ქებურიას IV ქუჩას მიენიჭოს ალბერტ ბალხამიშვილის I გასასვლელის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

3. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

4. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**

X:494947 Y:4614857
X:494911 Y:4614804
X:494842 Y:4614757
I ჩიხი
X:494824 Y:4614754
X:494918 Y:4614725
ალბერტ ბალხამიშვილის ქ.
X:494843 Y:4614385

ადრესატი:

ლია ცოცხალაშვილი
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-პირველადი სტრუქტურული ერთეული (აპარატი)-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სამდივნო-პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი

წერილის ნომერი:**03-032430532**
თარიღი: **31/10/2024**

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოსთან კომუნიკაციის საფუძველზე მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი სამგორის რაიონში, ბესარიონ ქებურიას დასახლებაში გზათა ქსელის სახელწოდებების მოწესრიგებასთან დაკავშირებით.

ხსენებულ დასახლებაში ქუჩების უმრავლესობას მინიჭებული აქვს ქართველი მფრინავების (მიხეილ გრიგორაშვილი, ნინა ხუბულავა, რუსუდან ჟორდანია) და აფხაზეთის ომში გარდაცვლილი მებრძოლების (რევაზ ბებია, გელა მინდიკაური) სახელები.

გზათა ქსელის სახელწოდებების მოწესრიგების ნაწილში კომისია საჭიროდ მიიჩნევს რამდენიმე ქუჩისთვის ახალი სახელის მინიჭებას. კომისიის მიერ საქმისწარმოების პროცესში დამუშავდა 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დროს გარდაცვლილთა ბიოგრაფიული მონაცემები. ჩვენი მოსაზრებით ერთ-ერთი ქუჩისთვის მფრინავ ალბერტ ბალხამიშვილის სახელის მინიჭება კომისიის მხრიდან მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება იქნება მისი ღვაწლის სათანადოდ დაფასების თვალსაზრისით.

აღნიშნულის გათვალისწინებით გთხოვთ, ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურიდან გამოითხოვოთ ინფორმაცია ალბერტ ბალხამიშვილის მოღვაწეობის შესახებ, ასევე სამსახურს სთხოვოთ პოზიციის დაფიქსირება სახელდებასთან დაკავშირებით და შესაძლებლობის შემთხვევაში აღმოგვიჩინონ დახმარება მფრინავის ოჯახის წევრებთან დასაკავშირებლად.

დანართის სახით გაუგზავნეთ ქუჩის სიტუაციური ნახაზი

მამუკა ბალიაშვილი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-პირველადი სტრუქტურული ერთეული (აპარატი)-სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სამდივნო-მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (სამდივნოს უფროსი)

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი: **03-032430553**
თარიღი: **31/10/2024**

ადრესატი: ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური
მისამართი: გიორგი გურამიშვილის ქ. 12 ა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოსთან კომუნიკაციის საფუძველზე მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი სამგორის რაიონში, ბესარიონ ქებურიას დასახლებაში გზათა ქსელის სახელწოდებების მოწესრიგებასთან დაკავშირებით.

ხსენებულ დასახლებაში ქუჩების უმრავლესობას მინიჭებული აქვს ქართველი მფრინავების (მიხეილ გრიგორაშვილი, ნინა ხუბულავა, რუსუდან ჟორდანია) და აფხაზეთის ომში გარდაცვლილი მებრძოლების (რევაზ ბებია, გელა მინდიკაური) სახელები.

გზათა ქსელის სახელწოდებების მოწესრიგების ნაწილში კომისია საჭიროდ მიიჩნევს რამდენიმე ქუჩისთვის ახალი სახელის მინიჭებას. კომისიის მიერ საქმისწარმოების პროცესში დამუშავდა 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დროს გარდაცვლილთა ბიოგრაფიული მოინაცემები. ჩვენი მოსაზრებით ერთ-ერთი ქუჩისთვის მფრინავ ალბერტ ბალხამიშვილის სახელის მინიჭება კომისიის მხრიდან მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება იქნება მისი ღვაწლის სათანადოდ დაფასების თვალსაზრისით.

მოგმართავთ თხოვნით, გაგვაცნოთ თქვენი პოზიცია ხსენებულ სახელდებასთან დაკავშირებით, ასევე მოგვაწოდოთ ინფორმაცია ალბერტ ბალხამიშვილის მოღვაწეობის შესახებ და შესაძლებლობის შემთხვევაში აღმოგვიჩინოთ დახმარება მფრინავის ოჯახის წევრებთან დასაკავშირებლად.

გიგზავნით ქუჩის სიტუაციურ ნახაზს.

დანართი:2 (ორი) ფურცელი.

ლევან აბაშიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ალბერტ ბალხამიშვილი
(1958-2008)
კაპიტანი, სამხედრო-საჰაერო ძალების მფრინავი, „მხედრული მამაცობისთვის“ ორდენის და მედლის „სამშობლოსათვის თავდადებულის“ მფლობელი

დაიბადა 1958 წლის 14 სექტემბერს ვაზიანის დასახლებაში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, ავიატორი მამისა და უფროსი ძმის მსგავსად პროფესიად მფრინავობა აირჩია. დაამთავრა ტამბოვის(რუსეთი) საავიაციო სასწავლებელი. შემდეგ წარჩინებით დაამთავრა კიევის სამოქალაქო ავიაციის აკადემია. 25 წელი სამოქალაქო ავიაციაში იმსახურა, 8 წელი იყო სამხედრ-საჰაერო ძალების მფრინავი ბოლნისში.
აფხაზეთის ომის დროს მას სამოქალაქო თვითმფრინავის ხალხი გადმოყავდა სამშვიდობოზე. ბოლოს 2008 წლის 5 აგვისტოს გავიდა შინიდან, კავშირი ჰქონდა ოჯახის წევრებთან. ბოლოს 8 აგვისტოს 2 საათით ადრე უკანასკნელად დარეკა ოჯახის წევრებთან. მისი ეკიპაჟი ომის პირველივე დღეს ბოლნისიდან მარნეულში გადაფრინდა, რათა იქიდან გეზი კოპიტნარის აეროდრომისკენ აეღო, მაგრამ ასაფრენად გამზადებულ თვითმფრინავთან მდგომი ეკიპაჟის სამ წევრთან ერთად მოულოდნელ დაბომბვას ემსხვერპლა.
2008 წლის 12 აგვისტოს დაკრძალეს კასპის რაიონის სოფელ ბოჟამში.
2008 წელს გარდაცვალების შემდეგ დაჯილდოვდა მედლით „მხედრული მამაცობისთვის“. 2009 წელს დაჯილდოვდა მედლით „სამშობლოსათვის თავდადებული“.